ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №77

დაბა შუახევი 19 მაისი 2011 წელი

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იური ქათამაძის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „დავით დავითაძი“ს სახით, (შემდგომში – „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს **სოფელ სხეფელაში ელექტრო წისქვილის მშენებლობის** სამუშაოები, (შემდგომში - „სამუშაო“)„ ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით, (**თანახმად ხარჯთაღრიცხვისა რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს**).

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს **2588 (ორიათასხუთასოთხმოცდარვა)** ლარს.

2.2. სამუშაოს ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, გადარიცხვის ფორმით.

2.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, სასაქონლო ზედნადებისა ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა მხოლოდ ამ ხელშეკრულების 4.5. მუხლში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

2.5. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკ-რულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებუ-ლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოების მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ყოველდღიურად სამუშაოს შესრულების შესაბამის ადგილზე ახდენს **შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია.**

3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს გამგეობის მიერ შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია, რომლის ფუნქციები განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლით.

4. სამუშაოს მიღება – ჩაბარება

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. შემსყიდველი მიმდინარე სამუშაოს მიღებას აწარმოებს ყოველდღიურად მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობებისა და შესრულებული სამუშაოების მიღების წესის თანახმად.

4.3. შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ეტაპობრივად, მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი – ფორმა №2) შემდეგ.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ წარდგენილი გამგეობის მიერ შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია.

4.5. სამუშაოების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმებამდე შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს შესრულებული სამუშაოების საბოლოო შემოწმებას, რომლის მიზანია სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობის დადგენა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან, დამტკიცებულ პროექტებთან, არსებულ სტანდარტებთან. საბოლოო შემოწმების პროცესში ხელშემკვრელ მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5. სამუშაოს შესაბამისობა

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შესაბამებოდეს საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

5.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაო შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.

ბ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით.

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

დ) ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს სამუშაოს ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება სამუშაოს მიმდინარეობაზე თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. პასუხისმგებლობა

9.1. მიმწოდებელი ღებულობს ვალდებულებას მის იერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე **ექვსთვიან** გარანტიას და დეფექტის წარმოშობის შემთხვევაში მითითებული პერიოდის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრის დაზიანებას.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.25%.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, მიმწოდებელს უფლება აქვს ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4. მიმწიდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

9.5 ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. სამუშაოს შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. სამუშაოს შესრულების ვადაა 2011 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდი.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2011 წლის 01 დეკემბრამდე პერიოდი.

11. ფორს-მაჟორული სიტუაციები

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვაროონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გადასახადები და ბაჟები

13.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. სხვა პირობები

15.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

15.3. ხელშეკრულება იდება სამ ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შუახევის მუნიციპალიტეტი	ინდ. მეწარმე „დავით დავითაძე"
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.№30	სოფ. სხეფელა
ს/კ 247865145	საიდენტიფიკაციო კოდი 61010001095
ა/ა GE35LB0120124700733001	/ა GE61 TR 0036010020007773
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" შუახევის ფილიალი	ს.ს. „ტაოპრივატ ბანკი"
ბ/კ: LBRTGE22	ბ/კ CAVOGE22
შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	ინდ. მეწარმე დავით დავითაძე
იური ქათამაძე	

საერთო სამშენებლო სამუშაოებზე, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა, დაბის თემის სოფ. სხეფელას ელექტრო წისქვილის მშენებლობაზე

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარებში)	საერთო ფასი
1	3	4	5	6	7
1	გრუნტის დამუშავება ორმოებში	1 კუბ.მ.	0,144	14	2
2	წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა B15 კლასის ბეტონით	100 კუბ.მ.	0,0014	13571	19
3	ხის კარკასის მოწყობა დახერხილი ხემასალით	1 კუბ.მ.	0,210	495	104
4	კედლების მოწყობა 45სმ სისქის შიპებიანი ფიცრით	100 კვმ.	0,146	2390	349
5	ფრონტონის მოწყობა შიპებიანი ფიცრით	100 კვმ.	0,018	1500	27
6	იატაკის მოწყობა 45 სმ სისქის შიპებიანი ფიცრებით	100 კვ.მ.	0,04	2600	104
7	ხის კარის ბლოკის მოწყობა	100 კვმ	0,014	6000	84
8	წისქვილის მოწყობილობები	კომპ	1,00	390	390
9	სანივნივე სისტემის მოწყობა დახერხილი ხემასალით	კუბ.მ.	0,15	540	81
10	სახურავის მოწყობა მოთუთიებული თუნუქის შიფერით ხის ლარტყებზე	100 კვ.მ.	0,082	2915	239
11	ხის კონსტრუქციების ანტისეპტირება	100 კვ.მ.	0,10	70	7
12	ხის კონსტრუქციების დამუშავება ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით	100 კვ.მ.	0,10	80	8
	სამშენებლო რესურსების მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ჯამი	ლარი			1414
	ზედანადები ხარჯები	12%			170
	ჯამი	ლარი			1584
	გეგმიური დაგროვება	10%			158
	ჯამი	ლარი			1742

პრეტენდენტი:ი/მ _____ დ.დავითაძე

საერთო სამშენებლო სამუშაოებზე, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა, დაბის თემის სოფ. სხეფელას ელექტრო წისქვილის მშენებლობაზე

სამუშაოს შესრულების გრაფიკი

№	სამუშაოს დასახელება	მაისი	ივნისი	ივლისი
1	3	4	5	6
1	**გრუნტის დამუშავება ორმოებში**			
2	**წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა B15 კლასის ბეტონით**			
1	**ხის კარკასის მოწყობა დახერხილი ხემასალით**			
2	**კედლების მოწყობა 45სმ სისქის შიპებიანი ფიცრით**			
3	**ფრონტონის მოწყობა შიპებიანი ფიცრით**			
4	**იატაკის მოწყობა 45 სმ სისქის შიპებიანი ფიცრებით**			
5	**ხის კარის ბლოკის მოწყობა**			
6	**წისქვილის მოწყობილობები**			
7	**სანივნივე სისტემის მოწყობა დახერხილი ხემასალით**			
8	**სახურავის მოწყობა მოთუთიებული თუნუქის შიფერით ხის ლარტყებზე**			
9	**ხის კონსტრუქციების ანტისეპტირება**			
10	**ხის კონსტრუქციების დამუშავება ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით**			

პრეტენდენტი:ი/მ დ.დავითაძე

სხეფი წისქვილის ელ. სამონტაჟო სამუშაოებზე

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი
1	3	4	6	7	8
1	სადენის დაკიდება საყრდენებზე	მ	20,0	3	57
2	სამფაზიანი ავტომატის მონტაჟი და მისი მომზადება ჩართვისთვის	ც	1,0	31	31
3	სამფაზიანი მრიცხველის მონტაჟი და მისი მომზადება ჩართვისათვის	ც	1,0	163	163
4	ძრავის მონტაჟი და მისი მომზადება ჩართვისთვის	ც	1,0	191	191
5	კაბელის გაყვანა კედელზე	100 მ	0,08	250	20
6	დასაკიდი ვაზნის მონტაჟი	ც	1,0	3	3
7	ჩამრთველის მონტაჟი	ც	1,0	6	6
8	შტეპსელური როზეტის მონტაჟი	ც	1,0	5	5
9	დამიწების კონტურის მოწყობა	100 მ	0,06	450	27
10	დამიწების ელექტროდის მოწყობა 50X50X5 მმ	ც	5,00	7	34
11	აბონენტათ აყვანა	ც	1,00	150	150
	სამშენებლო რესურსების მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ჯამი	ლარი			687
	ზედანადები ხარჯები ელ. სამუშაოებზე 12%	ლარი			82
	ჯამი	ლარი			769
	გეგმიური დაგროვება 10 %	ლარი			77
	სულ	ლარი			846

პრეტენდენტი. ინდ. მეწარმე დ. დავითაძე

სხეფი წისქვილის ელ. სამონტაჟო სამუშაოებზე

სამუშაოს შესრულების გრაფიკი

№	სამუშაოს დასახელება	ივნისი	ივლისი	აგვისტო
1	2	4	5	6
1	სადენის დაკიდება საყრდენებზე			
2	სამფაზიანი ავტომატის მონტაჟი და მისი მომზადება ჩართვისთვის			
3	სამფაზიანი მრიცხველის მონტაჟი და მისი მომზადება ჩართვისათვის			
4	ძრავის მონტაჟი და მისი მომზადება ჩართვისთვის			
5	კაბელის გაყვანა კედელზე			
6	დასაკიდი ვაზნის მონტაჟი			
7	ჩამრთველის მონტაჟი			
8	შტეპსელური როზეტის მონტაჟი			
9	დამიწების კონტურის მოწყობა			
10	დამიწების ელექტროდის მოწყობა 50X50X5 მმ			
11	აბონენტათ აყვანა			

პრეტენდენტი. ინდ. მეწარმე: დ. დავითაძე